№ 236
კვირა, 6 ნოემბერი 1894

1877—1894

ივერია

№ 236
კვირა, 6 ნოემბერი 1894

გაზეთის ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბეჭდად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვა
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზზედ—8 კაპ.

„ივერია“
გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამითა, როგორც წინად.

ვაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ჯერეულა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ტფილისი, 6 ნოემბერი

სწორედ დიდი უბედურება მოუტანა ჩვენ მეურნეს ვაზის ტერმა—ფილოქსერამ. ეს უბედურება დღეს თუ ყველასათვის ცხადი არ არის, ხვალ და ზეგ ყველა დარწმუნდება, რა უკიდურესს მდგომარეობაში ჩაყრდება იმის გამოისობით აღმოსავლეთისა და დასავლეთის საქართველოს მევენახე. დღეს ფილოქსერისაგან გავერანებულ და ამოვარდნილ ვენახების ვეერდით თუ კიდევ ეხედავთ ითითო-ოროლა ხალს, ჯერ დროებით ფილოქსერისაგან გაუფუჭებელს ვენახებს, ხვალ და ზეგ ეს თითო-ოროლა ვენახიც საერთო ბედს მიეცემა და აბა სწორედ მაშინ გახდება თვალ საჩინო ის ზარალი, რომელიც ჩვენ მხარეს მოელის. ისიც საკმარისია, რომ იმერ-საქართველოს მევენახეობის ეხლანდელი ყოფა-მდგომარეობა შევუდაროთ იმ მდგომარეობას, რომელიც ამ რამდენისამე წლის წინად იყო, როდესაც ფილოქსერა ჯერ კიდე არ იყო ისე გავრცელებული, და მაშინ ადვილად დავრწმუნდებით, თუ რა საზარლად მოქმედებს ეს ჭია. ეხლა იმერეთში ის ხანა დაუდგამ მევენახეებს, რომ იმათ თავისს საზრდოდ სხვა რაიმე საშუალებას უნდა მიჰმართონ.

შორს არ არის ის ხანა, როდესაც ქართლ-კახეთის მევენახეებიც ამ მდგომარეობაში ჩავარდებიან. ცხინვალის ვენახები უკვე მოდებულია ფილოქსერით, აქედგან იგი ადვილად გადავა მთელს ქართლსა და კახეთს, და მაშინ უფრო გამწვავდება ის საკითხავი, თუ რა უნდა ჰქმნან და რა საშუალებას მიჰმართონ მევენახეებმა, რომ თავიანთი ეკონომიური მდგომარეობა, ძველს დონეზედაც არის დაყენონ. თუმცა ფილოქსერა სხვა ქვეყნებსაც სწვევიათ, მაგალითებრ საფრანგეთი მთლად იღუპებოდა იმისის საზარელ მოქმედებით, მაგრამ იქ ხალხი ამ მტერს სულ სხვა ნაირის იარაღით დახვდა, შეებრძოლა, ძირს დასცა და გამარჯვებული გამოვიდა. ეს იარაღი მთავრობისა და მთელის საზოგადოების შემწეობა იყო. იქ ამ ბრძოლისათვის არ იშურებდნენ არც ფულსა და არც ცოდნასა, რადგან ერთიც და მეორეც ხელთა ჰქონდათ, მაგრამ ჩვენ-კი... ჩვენში საქმე სხვა ნაირად არის. მართალია, მთავრობამ გულმხურვალე მონაწილეობა მიიღო ფილოქსერასთან ბრძოლის საქმეში, მაგრამ საზოგადოებამ-კი ჩვენში ვერ მიჰბაძა ევროპის საზოგადოებას; თავისს უილაჯობით ვერ შესძლებდა ამ მიბძვას და მარტო მთავრობის დახმარება კი ამ დიდს საქმეში საკმარისად არ მიგვაჩნია.

ამიტომ, სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენში, თუ გამარჯვებას ისევ ფილოქსერა გაიმარჯვებს და არა ჩვენ. რა-კი ასეა, დროა ეხლავე, ვიფიქროთ: რაღას მოვანდომოთ ჩვენი შრომა, თუ ვენახები აღარ გვექნება, და ან რამ გვასაზრდოვოს ამდენი ხალხი? ჩვენდა საბედნიეროდ, არ არის ისეთი რამ უკიდურესი მდგომარეობა, რომ მხნეობით და შრომის მოყვარეობით აღუკვეთ ამ კაცმა თავი არ დაახწიოს, და მთელი ერი ხომ უფრო ადვილად შეიძლებს ამასა. ჩვენ გვჯერა, რომ ჩვენი ერი შესძლებს ამ მდგომარეობიდგან თავის დაღწევას.

ვენახები ძალიან კარგად აჯილდოვებს შრომასა და ფულსა და დიდ მოგებას იძლევა. მაგრამ თუ გარემოება გვაიძულებს მევენახეობა მოვსპოთ, ისეთი რამ წარმოება უნდა გაეჩინოთ რომელიც მევენახეობასთან შედარებით არა ნაკლები მოგებისი იქნება. ეხლა მთელი ჩვენი ყურადღება ამას უნდა მივაქციოთ, თუ ვაზის მაგიერად რა გავაშენოთ. რა არ გაშენდება იმ ქვეყანაში, სადაც ბამბა, ფსტა, ნუში, ატამი და ყურძენი მოდის! ჩვენს სამშობლოს მიწაყალი და ჰავა ნებას გვაძლევს ყოველ გვარი შემოსავლიანი მცენარე გავაშენოთ და ვახაროთ. მხოლოდ ის უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენის ქვეყნის ყოველ კუთხეს მაინც თავისი კერძო თვისება აქვს, რომელიც ამა თუ იმ მცენარის ზრდას უფრო ხელს უწყობს.

დღეს ჩვენ საგნად გვაქვს მკითხველს მოვაგონოთ ერთი მცენარე, რომლის შესახებაც წინადაც არა ერთხელ ყოფილა ლაპარაკი და რომელიც მშვენივრად ჰხარობ დასავლეთ საქართველოში, ეს მცენარე ჩაის ხეა.

ბათუმის მხარე და სოჭის მიდამოები სწორედ რომ გამოსადეგნი არიან ამ მცენარისათვის. საზოგადოდ-კი ჩაის მოსაშენებლად საჭიროა წლიური ჰავა შუა რიცხვით 11° ც, სიცივე—17,5°-ც ზედ ქვევით არ უნდა ჩამოვიდეს და სიცხე 38°-ც არ აღემატებოდეს. ამნაირი ადგილები ადვილად მოსაძებნია ჩვენს ქვეყანაში. ჩაის მცენარე ისეთი ხეა, რომელიც ორ აღლზედ მეტად არ უნდა გაუშვან. ამ ხეს თავის დროზედ დაბარვა, სხვლა და მეტის ფოთლის მოცილება უნდა. ზედ შერჩენილ ფოთლებს მოწევის შემდეგ მოჭრებენ, გაახმობენ და ჩაის სახელით ჰყიდიან.

ჯერ ჩვენში, არ არის გამოცდილი, თითო ჩაის ხე რა წონის ფოთოლს იძლევა. ჩინეთში-კი ხე 48 მისხალს ახლად დაკრეფილს და 12 მისხალს მოხალულ ფოთოლს იძლევა. ერთ დღიურზედ 880 ხე ეტევა და ამათ 110 გირვანქა გამხმარი, გასასყიდათ მოამზადებული ფოთოლი აქვთ. მეხუთე და მეექვსე წელს ხე უფრო მეტს იძლევა, ასე რომ შუა რიცხვით ერთ დღიურზედ 275—550 გირვანქა ფოთოლი გამოვა. თუ გირვანქა მანეთზედ მეტად არ ეღირება, მაშინ დღიური 275—550 მანეთს შემოიტანს. დღიურზედ ხარჯი 30—60 მანეთს არ აღემატება*). აშკარადა სჩანს, რომ ჩაის ხე ძალიან შემოსავლიანი ყოფილა და ყოველ ღონისძიება უნდა ვიხმაროთ, რომ მისი მოვლა-გამოყენება ვისწავლოთ.

ბათუმელმა მემამულეებმა (არა ქართველებმა) მიაქციეს კიდეც ყურადღება ჩაის ხეს. ასევე მოიქეა მთავრობაც, რომელმაც ექსპედიცია შეადგინა რამდენისამე კაცისაგან და ჰგზავნის ჩინეთ-იაპონიაში, რათა იქ, ჩაის სამშობლოში, შეისწავლონ ამ მცენარის მოყვანის ხელი. დაბრუნდება ექსპედიცია, დაიწყებს საუფლისწულო მამულში ჩაის მოყვანას და აბა სად იქნება დრო ჩვენს ხალხს თავისი ცოდნა გადასცეს! გვიან-ღა იქნება იმის მოფიქრება, რომ ჩვენც ჩვენი კაცი უნდა გაგვეგზავნა ექსპედიციასთან ერთად და დაგვეკვლევინა, რომ როცა დაბრუნდება, თავისი დრო სულ ხალხში ჩაის მოყვანის ცოდნის გავრცელებას მოანდომოს.

დიაღ, მაშინ გვიან იქნება—მაგრამ ეხლა ჯერ კიდევ არ არის დაგვიანებული! ჩვენ ყოველი ღონე უნდა ვიღონოთ, მარშლების შემწეობით იქნება თუ სხვებისა, მინისტრთან თხოვნა იქნება, თუ სხვა გზა, და უნდა ვეცადოთ ჩვენი კაციც გავადევნოთ ექსპედიციას. დიდი მნიშვნელობა ექმნება ჩვენის ქვეყნისთვის ჩაის მოყვანის მცოდნე კაცს და შეუძლებელია რომ უმაღლესმა მთავრობამ ყური არ ათხოვოს ამ მნიშვნელობას. ჩვენის აზრით იგი დაგვთანხმდება და შეიწყნარებს ჩვენს თხოვნას, თუ ეხლავე დავიწყებთ ზრუნ-

*) „Хозяинъ“.

ფელეტონი

ეგრაული მელოდია

(ფრუგისა)

გამოსულთა, XIV, 15; მიქ. II, 10.

ერო მშობელო! თავადი ვალვე გიჭრის,
ძმადი გაქვს ყვერთხი, მაგარი—მლაკი,
ძმ შეა გზაზედ რად და დამდგარხარ
და ჩაგეძინდრავს ჭალარა თავზე?!
ძარტო არდა ხარ: მამთახედე,
ძრაკვლად გარტყია შვილები ბერე,
ულში ჩაეკარ და მთთან ერთად
ტანჯავთ ფუსერული ბერდაბერე...
დასვადი ბედს მეჩარეს ვითარცა რკინა
და გასწი წინ!

**

გასწი წინ—გასმობს შენი მერმისი,
ასევ ვაისმის ძველი სიმღერა;
„წამოდექით!“ ბერეანავ ქუხდი
და ქარაშხალმაც ოგიე დაგბერა.
ელვა-ქუხილში, ბეკ ქარაშხალში
გასწი, გასმობს ხმა წმიდ, ძლიერი,
ტანჯავთ ფუსერული ბერდაბერე,

ბერა შეგეკრთობს ჭალარა-ს მტერი...
ბერწმდეს, ჯერ ბედმა არ დაიძინა!
წინ გასწი, წინ!

კენტი

საწყალი დედა!

(სურათი)

არა, ამაზედ მეტი აღარ შემიძლიან! შესვლის უმალ, მიაძახა ფეფომ ქმარს. სიკომ „რა იყო“-ს თქმა ვერაკი მოასწრო, რომ ფეფო ტყვია ნაკრავსავით იატაკზედ გაიშლართა. თავს ზარ-დაცემულმა სიკომ ვეღარა მოახერხარა, გაშტერდა და ცოლის ფართხალს ყურება დაუწყო. რახუნზედ კარი გაიღო და მოხუცი ადამიანი გამოჩნდა; დაინახა თუ არა ეს ამბავი, იმ წამსვე უკან გაბრუნდა და ხელმეორედ სურით ხელში შემოვიდა. მივარდა იატაკზედ წაქცეულს ფეფოს, ხან ყური გაუწია, ხან საფეთქელი დაუსრისა და ხან ნეკზედ უკანია, მაგრამ ფეფო არ იძოროდა. სიკო ისევ გაშტერებული იდგა. ამის მიზეზს უკვე მიმხვდარიყო იგი და იმის გულში ორი საშინელი გრძნობა იძროდა: დედა, თუ ცოლი? ამ გრძნობას სულ მთლად შთაენთქა ამ წამს სიკო.

ფეფო ისევ იატაკზედ იდო. მოხუცებული ადამიანი—სიკოს დედა, სკამზედ ჩამომჯდარიყო და საშინლად ქვითინებდა. სიკომ ერთბაშად ბალტო გაიძრო, მოიხადა ქუდი და ერთი ხელის დატაცებით ფეფო ფეხზედ წამოაყენა. ამ წუთში სიკოს ისეთი ღონე მიეცა, რომ ხეხილისათვისაც რომ ხელი მოეკვლო, ძირიანად ამოჰგლეჯდა. „უნდა მომკლათ? რაც დედაშენმა დამაკლო, შენ უნდა შემისრულო? ულმერთობამ!..“ ტირილით წამოიღელეწა ფეფომ.

— მალე სთქვი! სთქვა ბაბრაზებულმა სიკომ: რა დაგემართ... ათ, რა, თქვე ჩემის ცოდვით სავსენო?!.

— ის დამემართა, რომ დედაშენთან ცხოვრება არ შემიძლიან. ან მე დამითხოვე შენს სახლიდგან, ან ეგ. თუმცა ჩემი სირცხვილიც იქნება, მაგრამ თავს დაგანებებ! გაგეცევი...

— ჯანაბამდის გზა გგქონდეს!

სიკოს დედას ლაპალუპით გადმოსდიოდა ცრემლი.

— რატომ ფეხი არ მომტყდა, შენს დასანიშნავად რომ მომყავდა ჩემი სიკო, წაიბუტბუტა მოხუცებულმა და კარში გავიდა.

— რა გინდა, რა? დაიწყო სიკომ.

— რა მინდა? ან დანა დამკარი გულში და მომკალი, ან დედაშენს მომშორე.

— ცოდო? სირცხვილი?

— ჩემზედ ამიდია.

— ოი! შე ბოროტო, შე გესლიანო ბველო; შეჰლრიალა მოთმინებიდგან გამოსულმა სიკომ, რომელსაც, რაც ჯავარი დაიწერა, „ვერ-ტოს“ მეტი არა უთქვამს-რა ცოლისათვის:

— შენ გინდა მშობელი დედა გამაგდებინო, შენ გამაშორო მშობელს, რომელმაც გამაჩინა, ძუძუ მაწოვა, გამზარდა და ქვეყანაში გამიმყვანა? შენ გინდა დამატოვებინო ის, რომელსაც ჩემი გაზრდა სიცოცხლედ დაუჯდა?! არა! არა, მაგას ვერ ვიზამ! ვერ ვიზამ, თუნდა ეხლავე ადგე და საროსკიპოში წახვიდე... ბრაზისაგან ამის მეტი ვეღარა მოახერხა რა და გიჟისავით გავარდა კარში.

— შვილო! ნუ იფუჭებ სისხლს, მე გაგეცლებით და თუ ამითი შენი ცოლი გაბედნიერდება, იმასაც გავიგებთ.

— დედა! რას ამბობ?

— მაშ რა ვქნა, შვილო? ვხედავ, რომ სიცოცხლე გიმწარდება. დედა ვარ გული მეწვის.

— დედა! შენი ჭირიმე შეურიგდი, შეეთვისე, დაუთმე ხოლმე, თორემ არ ვიცი რას ჩავიდენ.

— შვილო, რა ვქნა, როგორ არ ვეურჩიო, რაც ცუდია და რაც კარგი. როგორ არ ვასწავლო, როგორ არ დავუშალო? განა ის კი არ მეყოფა რომ ზიზღით მიყურებს, რომ უპატიურად მექცევა, რომ ყველა ჰშურს ჩემთვის. იქნება, შვილო, შენვერ ამჩნევ, მე-კი ყველაფერსა ვხედავ, მაგრამ შენის გულისათვის ვითმენ.

— მაშ რა ვქნა?

— დაარიგე, შენი ცოლი; დაარიგე, რომ ეს უკანასკნელნი დღენი არ ჩამაშამოს; დაარიგე, რომ ჩემის პირიდგან, უკანასკნელს ჯას, წყევლა კი არა, ლოცვა ამოდიოდეს

ვას და მთავრობას საკმარისის სიცხადით გაუთვალისწინებთ ამ საქმისა სარგებლობისა და საჭიროებას. ჩვენ საკმაოდ გვყავნან უნივერსიტეტში ბუნების-მეტყველების ნაწილზედ კურსდამთავრებულნი და აგრეთვე აგრონომები; შეუძლებელია, რომ ამათში ერთერთმა მინიკარ მოინდომოს იმ შორს ქვეყნებში წასვლა, ამ ყოველად სასარგებლო საქმის შესასწავლად. ნუ დაკიდეწყებთ რომ თუ გავეზიანეთ ვინმე, რამდენისამე ხნის შემდეგ ისეთი ცოდნის კაცი დაგვიბრუნდება ჩვენ, რომელიც ჩვენს ერს, ფილოქსერის გამო, კარზედ მომდგარს კატასტროფას აიცდენს და ეკონომიურ გაუმჯობესობის ახალს გზას უჩვენებს.

—ლი—გ.

დეპეშა

(ჩრდილოეთის დეპეშათა საგენტოსაგან)

4 ნოემბერი

პეტერბურგი. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარესა და წევრებს, როდესაც წარუდგნენ მის უდიდებულესობას, ხელმწიფე იმპერატორმა უთხრა: ნებითა ღვთისათა ჩვენ ყველას დიდი მწუხარება გვეწვია, ჩემი ქვრივსა შობელი უფროოდ გარდაიცვალა. ღ. მიცვალებულმა ხელმწიფემ ვეღარ მოასწრო თავისი სურვილი აესრულებინა და სიკვდილამდე გარდმოცა ჩემთვის, მადლობა გარდამეხადა სახელმწიფო საბჭოს წევრთათვის ერთგულის სამსახურისათვის, მაგრამ რა-კი ვიცი, რომ დაუვიწყარი მამაჩემი ყოველთვის ემაყოფილი იყო სახელმწიფო საბჭოს მოქმედებით, თამამად შემიძლიან მიცვალებულის სახელით მადლობა გამოგიცხადოთ. ღმერთმიც ძმისემს ძალასა და ღონეს ვზიდო ტვირთი სახელმწიფოს სამსახურისა, ასე უფროოდ ჩემდამო გარდმოცემული. იმედი მაქვს, ბატონებო, რომ ყოველს გვარს დახმარებას აღმომჩენთ ამ საქმეში.

ხელმწიფე იმპერატორმა გენერალ-ადიუტანტებს, მისის უდიდებულესობის ამალის გენერალ-მაიორებსა და ფლიგელ-ადიუტანტებს უთხრა: ჩემის დიდად საყვარელის მამის სახელით მადლობას გწირავთ, ბატონებო, მისის ერთგულისა და სინდისიერის სამსახურისათვის. გთხოვთ ჩემდამოცა გქონდეთ, ის გრძნობა ერთგულებისა და სიყვარულისა, რომელსაც მამიჩემის მიმართა ჰგრძნობდით.

იმპერატორის ალექსანდრე III-ის დასაფლავების დღეს, 7 ნოემბერს, სატახტო ქალაქის 42 ალაგას ალაბები იქმნება გამართული 45,500 სულისათვის.

უცხოეთი

ინგლისი. როზბერის იმ სიტყვამ, რომელიც 10 ნოემბერს (ახალის სტილით) ჰილდგელში წარმოსთქვა დიდი ყურადღება მიიქცია ევროპიის ჟურნალ-გაზეთობისა. ამ სიტყვით როზბერიმ გამოაცხადა, რომ ჩინეთის ომის მეოხებით „სპოლიტიკა ცამოწმენდილი არ არის, მაგრამ ტროსის მაჩვენებელი მანქანა-კი ჯერ-ჯერობით თავისს დონეზეაო. ინგლისმა გარდასწყვიტა, რომ სრული ნეიტრალიტეტი რა დაარქვას, თუ არა სურვილი შვიდობანობის დაცვისა. ამ ძნელს საქმეში მთავრობა მხარ და მხარ მისდეს რუსეთსა. იგი მზად არის მხარი დაუჭიროს შვიდობიანობის დასაცველად ყოველ გვარს ღონის ძიებას, ოღონდ-კი ეს საშუალება იაპონის ღირსებას არ ამცირებდეს და ჩინეთისათვისაც საზარალო არ იყოს.

რაც შეხება რუსეთსაო, განაგრძობს მინისტრი, ჩვენი ურთი-ერთობა არასოდეს ასეთი ძმური და მეგობრული არ ყოფილა, როგორც ამ ჟამად არის. თუ რამე უსიმოვნება გვქონდა ერთანეთში, ამასაც, შუა აზიაში სამზღვრების დადებამ სამუდამოდ მოუღო ბოლო. თუ რომ ინგლისი და რუსეთი ერთმანეთს მხარს დაუჭერენ და ასე იმოქმედებენ აზიაში, მაშინ შვიდობიანობისაკენ ერთი უმთავრესი ნაბიჯი იქმნება გადადგმულიო. შემდეგ როზბერიმ იმპერატორ ალექსანდრეს შესახებ დაიწყო ლაპარაკი და აღტაცებით აღიარა, რომ იგი უდიდებულესი იმპერატორი, მშვიდობის-მყოფელი ხელმწიფე იყო და თუმცა წინა უძღოდა ურიცხეს ლეგიონს, მაგრამ არის დრო-კი არ უბრძოლნიაო. აწ გამეფებულის ხელმწიფე იმპერატორის შესახებ-კი მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „სასურველია, იმ პერატორმა ნიკოლოოზმა ღირსეულად აასრულოს ის ყოვლად დიდი და ძნელი პასუხ-საგებელი მოვალეობა, რომელსაც აკისრებს რუსეთის სამეფო გვირგვინიო“. ქებით მოიხსენია აგრეთვე მოკლული კარნო და დასძინა, იმედია, რომ ინგლისი და საფრანგეთი ამიერიდგან ერთმანეთს მხარს დაუჭერენ მშვიდობიანობისა და ვაჭრობის საქმეში და აგრეთვე, საფრანგეთის მთავრობა თავისს თავს ნებას არ მისცემს მოიქმედოს რომ ინგლისის პატრონსნებისა და კეთილდღეობის წინააღმდეგაო.

ᲫᲣᲚ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲖᲐᲜᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

—

გაზ. „Figaro“-ში დაბეჭდილია წარადგი სიფრანგეთის გამოჩენილის სახელმწიფო მოღვაწისა, მწერლისა და ფილოსოფოსის ჟულ სიმონისა. ეს წარადგი არა მარტო ამბათ ერის შესანიშნავი, რომ ნაწერის მწერლის კალამს ეკუთვნის, არამედ ამბათაც, რომ მასში სრულიად ახალი აზრია გამოთქმული. მაგეკვეს უფრო სიუოველდენო ადგილი ამ წარადგისა.

„როდესაც ბავრეულდა ხმა ალექსანდრე III-ის ავადმყოფობის შესახებ, მხოლოდ მაშინ ბიგეო ეროპამ, თუ რა ერის რუსეთის მეფე. რუსეთს ხომ შეხეთო დასცა თავისაზარა ამ ამბავმა, ამატომ, რომ ამ სახელმწიფოში ხელმწიფეს ისე უყვართ, როგორც თავისს მშობელ მამ. დანარჩენ სახელმწიფოთ, თავის ეროვნულ-დიეობას ეამ, ეულში შიმ შეეშინართ, საფრანგეთს კი მამეფადმეფდენ თრონდა მოუვიდა.

საფრანგეთს ეუკვარდა იგი, თუმცა-კი რუსეთის ხელმწიფეს და საფრანგეთს შორის არავითარი ერთობა არ იყო ანტორ ალექსანდრეს შესახებ დაიწყო ლაპარაკი და აღტაცებით აღიარა, რომ იგი უდიდებულესი იმპერატორი, მშვიდობის-მყოფელი ხელმწიფე იყო და თუმცა წინა უძღოდა ურიცხეს ლეგიონს, მაგრამ არის დრო-კი არ უბრძოლნიაო. აწ გამეფებულის ხელმწიფე იმპერატორის შესახებ-კი მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „სასურველია, იმ პერატორმა ნიკოლოოზმა ღირსეულად აასრულოს ის ყოვლად დიდი და ძნელი პასუხ-საგებელი მოვალეობა, რომელსაც აკისრებს რუსეთის სამეფო გვირგვინიო“. ქებით მოიხსენია აგრეთვე მოკლული კარნო და დასძინა, იმედია, რომ ინგლისი და საფრანგეთი ამიერიდგან ერთმანეთს მხარს დაუჭერენ მშვიდობიანობისა და ვაჭრობის საქმეში და აგრეთვე, საფრანგეთის მთავრობა თავისს თავს ნებას არ მისცემს მოიქმედოს რომ ინგლისის პატრონსნებისა და კეთილდღეობის წინააღმდეგაო.

ᲫᲣᲚ ᲡᲘᲛᲝᲜᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲖᲐᲜᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔ ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

—

გაზ. „Figaro“-ში დაბეჭდილია წარადგი სიფრანგეთის გამოჩენილის სახელმწიფო მოღვაწისა, მწერლისა და ფილოსოფოსის ჟულ სიმონისა. ეს წარადგი არა მარტო ამბათ ერის შესანიშნავი, რომ ნაწერის მწერლის კალამს ეკუთვნის, არამედ ამბათაც, რომ მასში სრულიად ახალი აზრია გამოთქმული. მაგეკვეს უფრო სიუოველდენო ადგილი ამ წარადგისა.

„როდესაც ბავრეულდა ხმა ალექსანდრე III-ის ავადმყოფობის შესახებ, მხოლოდ მაშინ ბიგეო ეროპამ, თუ რა ერის რუსეთის მეფე. რუსეთს ხომ შეხეთო დასცა თავისაზარა ამ ამბავმა, ამატომ, რომ ამ სახელმწიფოში ხელმწიფეს ისე უყვართ, როგორც თავისს მშობელ მამ. დანარჩენ სახელმწიფოთ, თავის ეროვნულ-დიეობას ეამ, ეულში შიმ შეეშინართ, საფრანგეთს კი მამეფადმეფდენ თრონდა მოუვიდა.

საფრანგეთს ეუკვარდა იგი, თუმცა-კი რუსეთის ხელმწიფეს და საფრანგეთს შორის არავითარი ერთობა არ იყო ანტორ ალექსანდრეს შესახებ დაიწყო ლაპარაკი და აღტაცებით აღიარა, რომ იგი უდიდებულესი იმპერატორი, მშვიდობის-მყოფელი ხელმწიფე იყო და თუმცა წინა უძღოდა ურიცხეს ლეგიონს, მაგრამ არის დრო-კი არ უბრძოლნიაო. აწ გამეფებულის ხელმწიფე იმპერატორის შესახებ-კი მინისტრ-პრეზიდენტმა განაცხადა, რომ „სასურველია, იმ პერატორმა ნიკოლოოზმა ღირსეულად აასრულოს ის ყოვლად დიდი და ძნელი პასუხ-საგებელი მოვალეობა, რომელსაც აკისრებს რუსეთის სამეფო გვირგვინიო“. ქებით მოიხსენია აგრეთვე მოკლული კარნო და დასძინა, იმედია, რომ ინგლისი და საფრანგეთი ამიერიდგან ერთმანეთს მხარს დაუჭერენ მშვიდობიანობისა და ვაჭრობის საქმეში და აგრეთვე, საფრანგეთის მთავრობა თავისს თავს ნებას არ მისცემს მოიქმედოს რომ ინგლისის პატრონსნებისა და კეთილდღეობის წინააღმდეგაო.

ახალი ამბავი

—

** ორშაბათს, 7 ნოემბერს, განსვენებულ ხელმწიფე იმპერატორის ალექსანდრე ალექსანდრეს ძის დასაფლავების დღეს, სიონის ტაძარში საქართველოს ეგზარხოსი ვლადიმერი წირვის შემდეგ პანაშვიდს გადიხდის გარდაცვალულის ხელმწიფე იმპერატორის სულის მოსახსენებლად. ამ დღეს ყოველ ეკკლესიებში წირვის შემდეგ პანაშვიდს გადიხდიან.

ამ დღესვე სახლისა და დუქნების პატრონებმა უნდა გამოჰკიდონ შავ ბაირაღები.

სასამართლოები და სხვა-და-სხვა მთავრობის და საზოგადო დაწესებულებანი და აგრეთვე ყოველ სასწავლებელი დაკეტილი იქნება.

ორშაბათს დაკეტილი იქნება ტფილისის ოთხივე კლუბები.

ქალაქის გამგეობა ამ დღეს ალაბ გამართ ავს ხალხისთვის. უფასო სადილი გამართული იქნება პეტრ, პავლეს, კუკიისა, ვერისა, ხოჯევანქისა, მაჰმადიანთა და ებრაელთა საფლაოებზე.

განსვენებულ ხელმწიფე იმპერატორის დასაფლავებისა გამო დანიშნული საორშაბათო ქალაქის საბჭოს სხდომა გადადებულ იქმნა ტფილისის გუბერნატორის განკარგულებით 21 ნოემბრამდე.

*** ქართულის დრამატიულის საზოგადოების გამგეობამ გადასწყვიტა თავისს საშუალებათა გასაძლიერებლად მომავ ლ სათეატრო სეზონში, გაჰმართოს ერთი კონცერტი და ერთიც სცენის მოყვარეთა წარმოდგენა.

ორის დღის შემდეგ სიკოს დედა, მართლაც გადავიდა თავის სახლიდგან. მიეკედლა ერთს ნაცნობს ადამიანს, რაც რამე ჰქონდა ნახევარი იმამისისა და ნახევარი შვილს უანდერძა. შვილს არა გამოართვა რა. სიკომ არც-კი იცოდა, სად იყო მისი მშობელი. ფეფე მეორედღესვე ფეხზედ წამოდგა. მესამე დღეს წვეულება გამართა და გულითადს მადლობას უხდიდა, როდესაც იმისი მეგობარი ქარაფშუტა ქალები დედამთილის თავიდგან მოშორებას ულოცავდნენ. სიკო ჯერ დაღონებული იყო. მაგრამ ერთის კვირის განმავლობაში ცოლის ცბიერმა ალერსმა სულ გადაავიწყა სიკოს მისმიერ ჩადენილი სამაგალი საქმე. მოხუცებული მაშინვე ლოგინად ჩავარდა და ერთი-თვის შემდეგ თქვენი ქირი წაიღო. ამის შემდეგ სიკო სულ ძოლად შეიცვალა, მიხვდა ყველაფერს მაგრამ გვიანღა....

— საწყალი დედა! გულ-ამოსკვნით სთქვა სიკომ და მწუხარედ დაიჩრა. და თავისის შშოლის უსულო გვამს ეს-ღა დასჩენოდა..

ოქვენთვის...

დღეს კიდევ ამაზედ მეტი არა ყოფილა-რა, სიკოს ჯერ ისევ წმინდათ და მტკიცედ, ეჭირა დედის ხახარე, მაგრამ, რაც მეტი დრო გადიოდა, იმდენად მეტად უსუსტებოდა ეს გრძნობა. ამის მიზეზი ფეფო იყო, ყოველ დღე, ებუტუტებოდა, ყოველ დღე ბუტბუტებდა. დღე ისე არ გავიდოდა, რომ ახალ-ახალი ამბები, რასაკვირველია, მოგონილი და კუდ-გადაბმული, არ მიეკენჭა ცოლს სიკოსათვის. ბევრჯელ კიდევ გაიმეორა ფეფომ დღეანდლისთანა სცენები. მიუჯდებოდა ხოლმე ალერსის დროს სიკოს და მოჰყვებოდა ეშმაკურის კილოთი: „დედა შენს ჩემი მოკვლა უნდა. ჩემის თვალითა ვნახე საწამლავს ქიმზადებდა, ვიდაც თათრისათვის ჯადო გაუკეთებინებია... და სხვა ამისთანებსა. თითონ რომ ვერას გახდარა, თავის სამშობლო და ნაცნობები შეუყენა, ასე რომ სიკო დასძლიეს და, რაც ნამდვილი სიცრუე იყო, ის დაიჯერებინეს. ეხლა ესეც უბედეროდა დედას. ადარ ეპყრობოდა პატივის ცემით და არამცთუ სურვილს, საპირო მოთხოვნილებასაც-კი ადარ უსრულებდა. დედის დათხოვნას კი ჯერ მაინც ვერა ჰბედავდა.

ფეფომ თითქმის აისრულა თავისი ნატვრა. ერთი ნაბიჯი-ღა აკლდა და აი ესეც. სიკო თანამდებობის შესასრულებლად სხვაგან იყო გაგზავნილი. შინ მარტო რძალ-დედამთილი დარჩნენ. ფეფომ ადარც დღე დაისვენა და ადარც ღამე: მთელი დღე „კარსეტში“ გამოკრული, ფეხს არ იკეცავდა. სიკოს დედამ თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ მისი რჩევა უსიამოვნებას გამოიწვევდა, მაგრამ გულმა ვეღარ მოუთმინა და ურჩია რძალს: „შვილო! შენს გარეშოებაში სიარული თუმცა სასარგებლოა, მაგრამ ზომიერი სიარული უნდა, და არა ტანჯიობა და ხტუნაობა, მეტადრე მაგ „კარსეტით“. ოფლიანს ჰავა დაგკრავს და მუცელი გაგიფუქდებაო“. რაკარ თუ ეგ მითხარიო, მემოიგლიჯა რძალმა ტანისმოსი და მრავალი უპატიო სიტყვები მიარტყა დედამთილს. ჩაწვა ლოგინში და ვიდრე სიკო არ მოვიდა, ჩუჩუნიკ არა ჰქმნა. ადარც სვამდა...

საწყალს დედას გული უკვდებოდა, ბევრჯელ მიუბარუნდა რძალს მოწიწებით: „შვილო! რას ჩადიხარ, მაგითი ხომ ავნებ შენს თავს“...

— აბა ვნახოთ, თუ ვერ მოვიშორებ მაგ მაჯლაჯუნას თავიდგანაო, ეუბნებოდა ფეფო თავისს მოახლეს. სიკო რომ მოვა, შენც უთხარი, ქალბატონი კინალამ მოკვდა-თქო, მგონი დიდმა ქალბატონმა სცემა-თქო, და იცოდე მადლობას გადაგიხდი, ფულს გაჩუქებ...

ამის გათავება ძლივს მოასწრო, რომ კარები გაიღო და სიკო შემოვიდა. მოხეხებულმა მოახლემ იმ წამსვე წყალს ხელი დაავლო და ფეფოს სხურება დაუწყო.

— ბატონო, შენიპირიმე, გვიშველეთ, თორემ საცაა ხელიდგან გამოგვეცლება. ამ სიტყვებმა და მეტადრე გაფითრებულმა სახემ ფეფოსამ, მთლად ააკანკალა სიკო.

— აჰა, დასტკბით ჩემის სიკვდილით, ეს არ გინდოდათ შენც და დედაშენსაც? ეხლი თავისუფლები ქნებით. თავისუფლად ამოისუნთქავთ... გედოთ ჩემი ცოდვა... ჩემი ყმაწვილ-ქალობა თქვენ იმსხვერპლეთ... თქვე ულმერთოებო!.. კენესით ამბობდა ფეფო.

სიკოს მეხლები ჩაეკეცა და იქავე მდგომ სკამზედ დაეშვა. მიიფარა თვალებზედ ხელები და მკვდარსავით გაინაბა. თითქმის მთელი საათი იყო ასე გაშტერებული, ბოლოს მძიმედ წამოდგა, ერთის თვალითი ცოლს გადახედა და კარში გავიდა. კარში გასვლის უმალ სიკოს დედა შეეხეჩა. სიკომ მრისხანედ შეჰხედა.

„დედა“! უთხრა სიკომ: თავი უნდა დაგვანებო, უნდა გაგვშორდე. სახლს დაგიტერ, საზრდოს მოგცემ, ოღონდ წადი გაგვეცალე... გაგვეცალე, თუ ჩემი სიცოცხლე გინდა.

სიკოს დედა ხმა გაკმეხილი და თვალცრემლიანი იდგა გაშტერებული. მიწისფერი დასდებოდა. სიკოც გაჩუმდა და ორთავემ ერთმანერთს დაუწყეს, ცქერა, თითქო ჰზომავდნენ თვალით. ვერცერთსერ გაებედნა ლაპარაკის დაწყება, ბევრის ხნის სიჩუმის შემდეგ ნელის, და მშვიდის ხმით სთქვა მოხუცმა:

ძალიან კარგი, წავალ, მაგრამ ორი დღე დამაცალეთ....

—

ეცენის მოყვარეთა წაროდგენის გამართვა იკისრა გამგეობის წევრმა თ. ვ. მ. თუმანიშვილმა, ხოლო კონცერტისა—გ. ი. ყარაშვილმა.

ამავე აზრით გამგეობას განზრახავს აქვს გამართოს ისტორიული საღამო, რომელზედაც წაკითხულ იქმნება ზოგიერთი ადგილები ისტორიიდგან და ეკამოყვანილნი იქმნებიან თავთ ისტორიის შესანიშნავნი ქალნი და კაცნი. ამ საღამოს პროგრამისა და ხარჯთაღრიცხვის შედგენა მიენდო გამგეობის წევრს ნ. ი. ავალიშვილს.

ამას გარდა, გამგეობას გადაუწყვეტია, რუსული და ევროპიული პიესები გამოიწეროს, საუკეთესონი გადათარგმნინოს და თითო მოქმედების გადათარგმნისთვის 1—2 მანეთი ძღიოს მოარგმნელთ.

*** რადგან წევრი დრამატიულ საზოგადოების გამეგობისა თვ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი საცხოვრებლად ქ. თელავს გადასულა, იმის მაგიერად მართველობის წევრად მიუწვევიათ ეანდიდატი ი. მაჭავარიანი.

*** ტფილისის ქალაქის საბჭომ, ერთს თავისს სხდომაზედ გადასწყვეტა, ძვირფასი გვირგვინი გაგზავნოს პეტერბურგს გარდაცვალებულს იმპერატორის ალექსანდრე მესამის კუბოზედ დასადებად. მაგრამ რადგანაც ამ გვირგვინის გაკეთება დაკრძალვის დღისათვის ვერ მოესწრობა, განზრახავ აქვთ დაკრძალვის მეორმოკე დღეს გაგზავნონ:

*** ტფილისის მიხეილის საავადყოფოში ახალი ხოლერით ავადყოფი ამ ჟამად არავინ არის. ბ-ნი გრიქუროვი, რომელიც ეოლერით გახდა ავად და მიხეილის საავადყოფოში იწვა, უკვე განკურნებულა. განკურნებულა აგრეთვე ორი სხვა, ხოლერით ავადმყოფიც.

*** სოფ. ქარელი. (ქართლი): ოქტომბრის 31, საღამოს 8 საათზედ, კიდეკ ბოროტ-მომქმედმა წაუკიდა ცეცხლი არჩილ ციციშვილის საძოვლის ფოლ სულ ერთიანად გადაბუგა. მეორე დღეს აღმოჩნდა, რომ არჩილ ციციშვილისავე მებაღეს წეეკიდებინა საძოვლისათვის ცეცხლი.

ამ თვის 1-ს, ღამის ცხრა საათზე, კიდეკამ წაუკიდა ცეცხლი მღვდლის გრიგორ მცხვედაძის საბალსა. ერთი მხარე სახლისა დაიწვა, ზარალი ოც თუმნამდე იქნება. კარგია, რომ ამ დროს ქარი არ იყო, თორემ თქვენი მტერი, რომ ნახევარი სოფელი გადიბუგებოდა, რადგანაც ამ სახლის გარშემო შენობები სულ ზედი-ზედ არის გადაბმული. კარგი იქნება, ვისაც ეჯერ-არს, სასტიკი ყურადღება მიაქციოს ბოროტ-მომქმედთ. ამოდენა სოფლისთვის როგორც ქარელი, ირცხვილია, რომ ღამის დარაჯები. არა ჰყავს.

*** ახალ-სენაკი: ჯარში გასაწვევ ახალგაზდა ყმაწვილ კაცების კენჭის ყრა უკვე დაიწყო წარსულ თვის 25. დგან. სენაკის მაზრიდგან სულ 124 ყმაწვილი კაცია წელს წასაყვანად დანიშნული. ნოემბერი კარგის დარებით დაგვიდგა. მშვენიერი დარია და კაცს გაზაფხულს მოაგონებს.

*** სამეგრელო: ამ შემოდგომაზე სამეგრელოს ზოგიერთ სოფლებში საქონლის ჭირმა იჩინა თავი. მაგ სოფ. თეკლათში (სენაკის მაზრაში) რამდენიმე სული საქონელი გახდა ავად, მაგრამ მაზრის ექიმმა ბ-ნმა გ. კახიანმა დროზედ მიიღო ღონის ძიება. ეს სენი უკვე ცხრება. აგრეთვე ზუგდიდის მაზრის სოფ. ნაბადაში გაჩნდა საქონლის ჭირი, მაგრამ ექიმი დროზედ მიეშველა და იმედია, ეს სენი მალე მოისპოს.

*** სოფ. თეკლათი. (სენაკის მაზრა): აქეთ უკვე გათავდა რთველი, მაგრამ საზოგადოდ ჩვენს საზოგადოებაში წელს ზარშ ნდელზედ ნაკლები მოსავალი მოვიდა. ის უზვი მოსავალი, რომელიც აქაურ ნოყიერმა მიწამ იცოდა და რომლითაც ჩვენი საზოგადოება სხვა სოველთა შორის საქებარი იყო, ვერ გავვიმართლა წელს იმედი. ამისი მიზეზი ხშირი წვიმები იყო, უდროო დროს. მაგრამ, ჰო, კიდევ ჩამოვრჩებით ცოტას გასასყიდად, თუ იბრიანა ღმერთმა და სიმინდს ფასი მოემატა. მხოლოდ ერთობ გვიმტყუნა «იზაბელის» ვაზია. ხსენებულ ვაზს, წელს ბლომად ეცხა, მაგრამ ივლისის გაძლიერებულმა ქარქარის ჩამობერტყა და რაც იმის გადურჩა, გვალვამ გაიფუჭა...

*** „Москов. Вед." სიტყვით, სახელმწიფო საბჭო ამ დღეებში განიხილავს მოხსენებას იმის შესახებ, რომ 1895 წლიდგან კრედიტს 500,000 მანეთი მოემატოს ქალაქისა და სოფლის სამღვდელოების ჯამაგირებისათვის.

*** „ტფ. ფურც."-ს შეუტყვია, რომ ექიმი ხალათოვი პარიზს მიდის, რათა ყელჭირვების ახალი წამლობა შეისწავლოს და თან წამალი წამოიღოსო.

დამაგვირდი

ტოდ-ქმრობა სრბბალ-მოფენილი მასეა და გარშემო ჩიტები დასტრიალდებენ, მაგრამ მოჭეეგბიან თუ არა ბაგე, ეეგლანი თავისს დასწეკესა სტდიდობენ.

სტრანიცკი

**

ბუდ-კეთილობა ჩეკულებრივი თვისებაა ადამიანისა, ეეთილი ბუდა-კი—იშეკითი ღირსებაა.

მარიამ ებერი-ეშენბახი

**

მეტნაერი მაინც ტოტსდა ერს, თუნდა ამ სოფლით გარდაეცვალოს კიდეც; უეიერი კი ამ ქეეეენისათვის მეკადრა, თუნდა ხან-გრძელსაც იტოცსდოს.

თალმუდი

ეპარქიაზე

ს. ლეონანდოვი. 25 ოქტომბერი. ყაზბეგის მთის აღმოსავლეთით, თერგის მარჯვენა მხარეს, არის ერთი მაღალი მთა, რომელსაც სახელად სამების მთა ეწოდება, ამ მთაზედ არის აშენებული წმ. სამების ტაძარი. ამ ტაძარს ერთს დროს დიდი პატივი და გავლენა ჰქონია მოხეევებზედ: აქ ნათქვამი სიტყვა აღარ გატყუდებოდა, აქ იყო ხოლმე ერობა და სამეო, სადაც სწყდებოდა მოხეევების ბედ-იღბალი. ეხლა კი ცალკე სტიქიონთა ძალა, ცალკე ბოროტი ხელი, სცდილობენ ტაძრის განადგურებას. ამ ცოტა ხანში სამჯერ გაუტეხიათ ეს ტაძარი და წაუღიათ მრავალი სიმდიდრე.

22 ოქტომბერს, ღამე, ვიღაც ბოროტ მომქმედებმა კიდევ გაძარცვეს ეს ტაძარი. ეს ქურდობა საოცარია. ამ ტაძრის გაღება შეიძლება ეხოლოდ მაღალი კიბის საშუალებით. ამ კიბით ტაძრის სახურავზედ ავა ერთ-ერთი, აქედგან პატარა სარკმლიდგან ტაძარში ჩავა და გააღებს ტაძრის რკინის კარებს. ეამ კიბეთ ტაძარში შესულა ყოველად შეუძლებელია. კიბე კი გამუდმებით, საჭიროების გარდა, ინახება სამრეკლოს ოთახში, სადაც განსაკუთრებული დარაჯი არის დაყენებული. იმ ღამეს როდესაც ხსენებული ქურდობა მოხდა კიბე ჩვეულებრისამებრ ყოფილა შენახული და დარაჯს კარებ ჩაკეტილნი სძინებია. მეორე დღეს დარაჯს ტაძრის კარები ღია დახვედრია. ამ ტაძარში მრავალი სიმდიდრეა: ალსავლის ძველი კარები სულ ვერცხლისაა, დიდი ჯვრები რომელიც სიმაღლითა სამი ჩარეკი იქნება, მრავალი ვერცხლის ხატები, და ძველი, დროშები, რომლებზედაც კარგად მოზრდილი ვერცხლის ჯვრები აქვს, თვლებით. ქურდებს ყველა ამისათვის თავი დაუნებებიათ და წაუღიათ რადენიმე ვერცხლის ბეჭედი, თითბრის ბარძიმ-ფეშხუი, ქალის ვერცხლის ქამრები ორი და რაც, ყველაზედ საკვირველია, მღვდლის უბრალო შესამოსი, ალსავლის კარების ფარდა და ოდიკი. ამ საქმეზედ გამოძიება სწარმოებს.

სხვა ახალი ამბავი ჩვენში ის არის, რომ ამ ორ დღეში განსვენებულის ალ. ყაზბეგის ძეგლი დასრულებული იქნება. დღეს დამაგრეს ცემენტით განსვენებულის ბრინჯაოს ქანდაკება და გაშრობა ღა უნდა. მხოლოდ განსვენებულის სახელისა და გვარის დწერა-ღა აკლია, რომლისათვისაც განსაკუთრებულს ოსტატს მოელინან ტფილისიდგან. განსვენებულის ძეგლი წარმოადგენს მყინვარა-წვერს (ყაზბეგის მთას), შუაში არის ჩასმული განსვენებულის ბრინჯაოს ქანდაკება. მარცხენა მხარეს ჩოხის მასრები მოჩანს, შუაზედ ახალუხის შეკრული ღილები. ქანდაკებას ქვევდგან სახელისა და გვარის წარწერა იქმნება. ქანდაკების ზევიდგან, ძეგლის ფვერიდგან, ნახევარ არშინ ქვევით, გაკეთებულია ქნარი ბატის ფრთის კალმით (ბრინჯაოსია), ქნარის შუაზედ გატარებულია და ორტოტად ძეგლზედ გადმოგდებული დაფნის ვვირგვინი, ესეც ბრინჯაოსია. სიმაღლით ძეგლი ოთხს ადლზედ მეტი იქნება. გაკეთებულია ადგილობრივის ქვით. მხოლოდ ის არ არის მოსაწონი, რომ განსვენებულს წვერი ორად აქვს გაყოფილი, რაც ძალიან აშორებს ნამდვილს მგზავსებას. ძეგლი გადაჰყურებს თერგის ხეობას და მყინვარ წვერს პირდაპირ უყურებს. ეს ორივენი რაღაც საიდუმლოთი გასაკვირიან ურთიერთს, თითქოს თავიანთ დარდს შესჩივიან ერთმანეთს: „ბევრი რამ ვიცით და ბევრიც რამა გვაქვს სათქმელი, მაგრამ თქმის ნებას ვინ მოგვცემს!"

ღიღე, ბევრი ვარამია ამ ორ უსულოთა არსების გულში ჩამარხული! თითონ განსვენებული ალექსანდრე გადასცქერის იმ არე-მარეს, რომლის მცხოვრებლებს ვარამი იყო მისის უკვდავის კალმის საგანი. ძეგლის კუთხეების დრო ჯერ გადაწყვეტილი არ არის, ამისთვის კარგი დროა ანეხლა, რადგანაც მშვენიერი დარებია ან არა და მაის-თიბათვეში, მანამდის კი ტფილისიდგან მომსვლელებს გაუჭირდებათ.

გ. ნ—ძე

ეპარქიაზე

ეერილი ფოთიდგან

საერთო და ძლიერი სურვილი ფოთელებისა, ვგონეს, შესრულდა. ბ-ნი ი. ნიკოლაძე აღრჩეულ იქმნა ქალაქის მოურავად. რას გამოელის ფოთი ნიკოლაძისგან? ყველაფერს, რაც კი შეუძლია გაკეთოს ახლანდელ დროში კაცის ნიჭმა და გამჭრიახობამ. ხოლო რის გაკეთება შეუძლია თავის თავად ნიკოლაძეს? რა მოგახსენოთ! ვინ არ იცის, რომ ნიკოლაძე ენა წყლიანი, კალამ ფხიანი, სწორ აზრიანი და რიხ-ხმიანი კაცია და მასთან ეხოვრების მრავალგვარ სარბიელზე დიდად გამოეცდილ-გამობრძმედებული მოღვაწეა, რომლის ბადალსაც ფოთის სამოურავო სავარძელი ამ ჟამად ვერავის იშოვნიდა... მაგრამ მაგარი ის არის, რომ ОДИНЪ ВЪ ПОЛѢ НЕ ВОЙНЪ. ერთი კაცი, რაც უნდა სრული და უნაკლულო იყოს, ბევრს ვერაფერს გახდება. „ცალის ხელით ტაში არ დაიკვრის". მაშასადამე, ფოთის საბჭოს ხმოსანთ ჯერ კიდევ დიდი და მრავალ-მნიშვნელოვანი საკითხი აქვთ გადასაწყვეტი, იმის შესახებ თუ ვინ უნდა აირჩიონ გამგეობის წევრებად, მდივნად, და სხვ. ნიკოლაძის ერთხმად არჩევით ფოთის ხმოსნებმა უკვე დამტკიცეს თავიანთი ერთგულობა და ერთ-სულობა მათდამი რწმენებულ საქმისა. ხოლო თუ ასეთისავე ერთგულობით და ერთსულობით მოეპყრობიან დანარჩენ მოხელეთა არჩევნებსაც, თუ ამ საზოგადო საქმეში თავიანთ პირადობას და კერძოობას არ შეიტანენ და ღირსეულ მოურავს შესაფერ ხელ-ქვეითებს დაუნიშვნენ, სრული გამარჯვება სწორედ მაშინ ექნებათ მოპოებული. წინაადმდეგ შემთხვევაში თავიანთ სახელსაც ჩრდილს მიაყენებენ, ბ-ნ ნიკოლაძესაც მრავალ გვარად ხელს შეუშლიან და ფოთის კეთილ-დღეობასაც აზარალებენ. ვიმეორებ, რომ ნიკოლაძე მარჯვე და მხნე კაცი, მაგრამ ყოველის შემძლებელი კი არ არის. სრულიად და სავსებით თავისს ნიჭს, ცოდნას, გამჭრიახობას და უნარს ამ ახალს თანამდებობაში მხოლოდ მაშინ გამოიჩენს, როცა რიგიანი თანამოსამსახურე ეყოლება გვერდით. იმედია ყოველსავე ამას ფოთის ხმოსნები ყურადღებით მოეპყრობიან და არ იფიქრებენ, რომ ნიკოლაძის არჩევით ფოთის კეთილ-დღეობის უკანასკნელი საკითხი საბოლოოდ გადავსწყვიტეს ჩ სხვა მოხელეთა არჩევნებს ქალაქის ბედ-იღბალზედ არაფერი გავლენა არ ექნებიო.

—

ფოთის გონებრივ წარმატების გზაზე ერთი პატარა ფარანი აინთო. ყოველად სამღვდელო გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგორის თაოსნობით აქ დაარსდა სანრევლო სკოლა, რომელშიაც სამოც-და-ათზე მეტი მოწაფე სწავლობს. ეს ამბავი აი რა მხრით არის სანუგეშო და სასიხარულო: ფოთი, მოგეხსენებათ, იმ კუთხეულს მხარეს ეკუთვნის, სადაც თამამად ჰქადაგებენ ყოველდ მაცდურსა და დასაგმობ აზრს, რომ სამეგრელო საქართველოს ნაწილი არ არის და მეგრელები ქართველები არ არიანო.

ამ შემთხვევაში საჭიროა ხერხი, საჭიროა ცოდნა და მხნეობა, რომ დროთა ვითარებას არ გავექცეთ ნოთ, რომ შეუბღალავად შევინარჩუნოთ ეს ერთად ერთი ჩვენი ეროვნული კუთვნილება, ტკბილი ქართველობა და ამ ენაზე მოსაუბრე ჩვენი ღვიძლი ძმები არ დავიშოროთ. ამიტომ ყოველი მცირედი შემთხვევა, რომელიც-კი ამ დიდს საქმეში ხელს შეგვიწყობს ცოტაოდნად, უმნიშვნელოდ, უყურადღებოდ და უთანგარ ძნობოდ არ უნდა დავტოვოთ. სამრევლო სკოლის დასაბა ფოთში სწორედ ასეთი შემთხვევაა, რადგანაც პროგრამა სამრევლო სკოლისა ისეთის წეს-რიგით არის შედგენილ-შემუშავებული, რომ ქართულ ენასაც კუთვნილ ალაგს უთმობს დ ამავე დროს სახელმწიფო ენასაც ჯეროვან ყურადღებას აქცევს. მოკლედ და მოკრით რომ ვსთქვათ, აზრი და დანიშნულება სამრევლო სკოლისა ის არის, რომ ალზარდოს ქეშმარიტი ქრისტიანი და ტახტის ერთგული ქვეშევდომი. რაკი ასეთი აზრი აქვს სამრევლო სკოლას, რასაკვირველია, რომ ჩვენში ის ქართულ ენას უპირატესობას აძლევს, რადგანაც ჩვენ მამა-პაპათ ამ ენის მეოხებით ჰქონდათ შეთვისებული ის მტკიცე და შეურყეველი სიყვარული ქრისტეს სარწმუნოებისადმი, რომელიც ისლამის ათას წლეულმა ბრძოლამ არა თუ ვერ შეუსრა, ვერც-კი შეასუსტა. ქართული ენა და ქრისტეს სარწმუნოება ჩვენში ერთად ზრდილა, ერთად წარმატებულა და ერთად მოფენილა. ეს ორი მარგალიტი, ეს ორი საუნჯე იყო, რომლის გულისთვინაც ერთი ქართველი ასს მტერს უმკლავდებოდა ბრძოლის ველზე. ალბად ჩვენმა სასულიერო მთავრობამ ყოველივე ეს კარგად იცოდა, როცა ჩვენში დასაარსებელ სამრევლო სკოლებში ქართულ ენას, როგორც გამამტკიცებელ საშვალებას, უპირატესობა მიანიჭა.

ამ ნაირად შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი ხალხი ამ უპირატესობის დიდ მნიშვნელობას გაიგებს და სრულს თავისს ყურადღებას და თანაგრძნობას სამრევლო სკოლებზე გადიტანს.

ამ სკოლაში ამჟამად, როგორც ზემოდ მოგახსენეთ, სამოცდა ათზე მეტი მოწაფეა. ეს რიცხვი თითქმის სულ წერა-კითხვის უცოდნელთაგან შესდგება და, რა თქმა უნდა, ერთი მასწავლებელი, თუ გინდა ძალიან მარჯვეც იყოს, ამ შემთხვევაში ვერას გახდება. მაშასადამე მიუცილებლად საჭიროა მეორე მასწავლებლის მოწვევა და ამის შესახებ კიდეც აქვთ რჩევა-თათბირი, მაგრამ საშეალებისათვის ვერ მიუგნიათ. სკოლის ხელმძღვანელთ განზრახვა აქვთ ქალაქის საბჭოს სთხოვონ დახმარება. იმედია, ახალი საბჭო ქალაქისა ან აგრეთვე ახალისა და ნორჩის დაწესებულებისათვის ცოტაოდენ შემწეობას არ დაიშურებს და მით ქალაქის ღარიბ მკვიდრთა შვილებს საშუალებას მისცემს პირველ დაწყებით სწავლის შეძენისას დედა ენაზე.

ლ. წულაძე

იაპონელების ზნე-ჩვეულება

—

იაპონია, რომელსაც სამოც-დათის წელიწადში ჰსურს განათლების ხრივ გაიაროს ის გზა, რომლის განვლასაც ევროპა ოცი საუკუნე მოუნდა, ნამდვილად-კი ისევ აზიურს ზნე-ჩვეულებაში არის ჩაფლული. მიკადოს სამშობლო თავისის მაგალითებით ამტკიცებს, რომ პოლიტიკურის რევოლიუციის მოხდენა უფრო ადვილი ყოფილა, ვიდრე მამა-პაპურის ცრუ და ამაო მორწმუნეობის შეცვლა. მ ოგეხსენებათ, რომ იაპონელებს უკვე ჰყავთ თავიანთი პოლიტიკოსები, განათლებული ქალები, დემოგოგები და თითქმის საკუთარი ანარხისტებიც-კი, მაგრამ მაინც სავსებით და ხელ-შეუხებლად აქვთ დაცული ჰამა-პაპური ზნე-ჩვეულება, რომელიც „ციურ სამეფოს", უცნაურ ზნე-ჩვეულებას, თუ არ აპარბებს, არაფერით ჰამორჩება.

აი ზოგიერთი უცნაური ჩვეულება იაპონელებისა.

ევროპიელი ქალი თუ დიდის სიამოვნებით აჩვენებს კაცს თავისს ყელ-ყურსა და ხელებს, იაპონელი ქალი კულ-მოდგინედ იხვევს თავ-პირს და ფეხებს-კი გაიშიშვლებს ხოლმე. ეს ამათი პირველი სამკაულია. იაპონელი ქალი მარტო 16—17 წლამდის კეკლუცობს და კოხტობს, ევროპიელი-კი, როგორც მოგეხსენებათ, ამ წლებიდგან დაიწყებს ხოლმე პრანჭვა-მოკაზმვას. ევროპიელი ქალი ტანისამოსის ზედა ნაწილს იცვამს ვიწროსა და მოპერილს, იაპონელი ქალი-კი, პირ-იქით, ტანისამოსის ქვედა ნაწილს იკერავს ვიწროს.

როგორია იაპონელი ლამაზი ქალი? წარმოიდგინეთ საკმაოდ ტანადი, მაგრამ პატარა არსება, რომელიც თავით ფეხამდის გახვეულია გაზერს ტანისამოსში, საიდგანაც მარტო ორი თვალის კაკალი გამოიჭყიტება, და მერე ისე საკვირველად, რომ კაცს უთუოდ სიცილი მოუვა. აი ამ გვარად ჩაცმულს ქალს იაპონელები ლამაზს ეძახიან.

ჩვენ გლოვის დროს შავებით შეკიმოსებით ხოლმე, იაპონელები-კი თეთრებით იმოსებიან; წვეულობის დროს ჩვენში ქალებს პირველი ადგილი უპირავთ: ამათ მიართმევენ ხოლმე პირველად საჭმელს, უფრო უკეთესს ალაგს იმათ დაუთმობენ და სხვა. იაპონიაში-კი ქალები, როცა მამა-კაცები ჭურს მიირთმევენ, ფეხზედ სდგანან.

ჩვენში ის წვეულება, ან მეჯლისი მეჯლისად არ ჩაითვლება, თუ ქალები არ ამშვენებენ, იაპონიაში-კი მეჯლიშებზედ ქალები პირიფით ეჯავრებათ.

ჩვენი მამა-კაცები ქუჩაზედ რო შეხვდებიან ქალს, დიდის მოწიწებით აძლევენ სალამს, იაპონელ მამა-კაცებს-კი ქალმა უნდა დასწროს სალამი.

იაპონელი ქალი მაშინვე სილას აკარებ ყავს თავისს სატრფოს, რომ გაბედოს და ნაწნავი დაუშალოს.

მართალია, ჩვენებური ქალებიც ისვამენ უმარილს, მაგრამ ჰმალავენ ხანც, ჩინელი ქალი-კი აშკარად ითაუნება და თავიც მოაქვს, რომ იგი ელოვნურად გალამაზებულია.

ერთი განსხვავებული თვისებაც აქვთ იაპონელებს ქალებს, მაგრამ ეს თვისება-კი იაპონელის ქალების სასახელოდ აღსანიშნავია.

ყველა ქვეყნის ქალები უცხო ენას მალიან ეტანებიან და თუ ისწავლეს რამე, მაშინვე ამ უცხო ენაზედ დაიწყობენ ხოლმე ჟღურტულს. მაგალითად. ფრანგი-ქალები ინგლისურად ლაპარაკობენ, ინგლისელები—ფრანგულად, რუსულად, ქართველები ყველა ენაზედ, ქართულსა გარდა, იაპონელი ქალი-კი თავისს დღეში არ ილაპარაკებს უცხო ენაზედ. იმას მარტო იაპონური ენა მოსწონს და უყვარს კიდეც სულითა და გულით. სწორედ ქალების მეოხებით აღორძინდა იაპონური ენა და ლიტერატურა ამ უკანასკნელს საუკუნეში. მარტო ქ-ნმა მირზაკამა (მწერალი-ქალი იაპონელებისა) არ აღორძინა ეს მოქნილი ენა, იმას მხარს უჭერენ ოც-და-ათამდე იაპონელი ქალი, რომელთაგანაც ბევრი ფილოსოფოსია და ყველანი ერთად-იკ იაპონიის ასაღორძინებლად მოღვაწეობენ. იაპონელმა ქალმა დაიპირა რა სავსებით სალიტერატურო და საპოლიტიკო ასპარეზი მამა-კაცებს დაუთმო მარტოხმა ბიწიერებისა და გარყვნილებისა.

პეტერბურგის ბირჟა, 4 ნოემბერი.

	მეოთხედ-ლისა.	გასამეოთხედ-ლისა.	გასამეოთხედ-ლისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7_{20}	7_{22}	— ,,
ტამბოვნის კუპონები .	$147^1/_2$	$148^1/_4$	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— ,,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგებიანი ბილეთი . . .	$240^1/_2$	— ,,	— ,,
—მეორისა	219	— ,,	— ,,
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავდა-ზღვაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	188	— ,,	— ,,
გრაფენბის ფურცლები ტფილისის ბანკისა:			
6%	— ,,	— ,,	101
5%	— ,,	— ,,	$98^3/_4$
ქუთაისის ბანკის 6%.	— ,,	— ,,	101
5%.	99	— ,,	— ,,
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკredიტო საზოგადოებისა	— ,,	— ,,	— ,,

განცხადებანი

გრ. ტატიშვილის მიერ შედგენილი

ჩართული ანგანი

(მონოგრამები)

ქსოვილებზედ დასითვით (გლადით) ამოსაკერად და სხვა-და-სხვა ლითონის ნივთებზედ ამოსაკრელად, გამოვიდა და ისყიდება „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩ., № 125).

ფასი 1 მანეთი.

(3—უ.—1)

ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

ფასი ერთი შაური

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხნ. სტამბაში.

პირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ს. ნავასარდიანი, 11—12 საათიმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიჯილისი.

ე. ბ. ზაქარია, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. კ. რუდგოგესი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. ბრიტანსეგიჩი,—$11^1/_2$—$12^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი ა. ბ. ტურბოგიჩი. $12^1/_2$—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ს. ბ. კარაბეტიანცი, 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

სალამოობით:

ს. ბურგა, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ს. ნავასარდიანი, 7—$7^1/_2$ საათმდის.

ე. ი. ფრანცეფსი, 7—$7^1/_2$ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეპტის დაწერა-ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგების. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1468)

თეატლეულოგის დეპო ფულციკა.

მოადგილე მ. ი. ფედოროვსკი

ფირმა არსებობს 1832 წლიდგან.

მოსკოვი, ბალის ქუჩა, წითელ ჭის კარებთან, სახლი რაუზერისა.

სრული ნახატებიანი კატალოგი ბოსტნეულისა. ყვავილებისა და სოფლის მეურნეობის თესლეულობისა დაიბეჭდება 1894 წ. დეკემბრის თვეში. ჩვენს პატივცემულს მუდმივ ვაჭრებს კატალოგი უფასოდ გაეგზავნებათ. იმათი-კი, ვინც პირველად დაიბარებს კატალოგსა, კეთილ უნდა ინებონ და ოთხი შვიდ-შვიდ კაპიკანი მარკა გამოგზავნონ. თუ სამს მანეთზედ მეტის თესლეულობას საფასურში დაიბარებენ, მაშინ ეს ფული ჩაერიცხებათ. ყველა თესლეულობა სამზღვარგარეთის ცნობილს მრეწველებისგან არის გამოწერილი და ჩვენს დებაში შემოწმებული ამითი სიკეთე.

ვისაც გამოწერა სურს რუსულად უნდა მოიწერონ.

(8—მ.—3)

დაიბეჭდა და ისყიდება

ყველა წიგნის მაღაზიაში

ოსანა მეთოსაკი

მოოხრობა

თვ. იასონ ციციშვილისა

ფასი 15 კაპ.

კაბილის ექიმი

3. ი. ჯიჯინაძე

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზისი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დასესწრება ექიმი ი. ს. ელიავშვილი.

(50—ნ.—28)

ცხოვრება

შვიდთა ყრმათა ეფესელთა

გამოცემა მ. შარაძისა ‡ ამხ. სტამბის

ფასი ერთი შაური

ისყიდება:

წერა-კითხვის გამავრცელებელისა, ქართველთა ამხანაგობისა, გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში და გამომცემელთაგან სტამბაში.

ოზურგეთს. კ. თავაროთქილაძესთან. სამტრედიაში. პ. გელეიშვილთან. ქუთაისში. წერეთლისა და ბეჟანიშვილის მაღაზიებში.

თელავში. ი. იმერლიშვილთან.

„წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . .	„	40
ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . .	„	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	„	50
ვისრამიანი..	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა I	1	„
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	40
კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა	„	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	„	30
იგივე მშვენიერის ყდით .	„	80
მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი.	„	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	„	20
პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . .	„	10
რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. .	„	30
რუხი მგელი გ. წერეთლისა	„	15
ქილილა და დამანა . .	3	„
შალვას თავგადასავალი ცახელისა	„	15
ცვარი შ. მღვიმელისა .	„	30
წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . .	„	15
ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ.	„	30
ხატაური ან. თუმანიშვილისა.	„	10
კონა ი. გოგებაშვილისა .	„	50
კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა .	„	40
შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა . .	„	5
ვიქტორ-ჰიუგოს რომანდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი" დ. ყიფიანისა.	„	20
ლექსები ვახტ. ორბელიანისა	„	20

„ივერია"

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

12 თვით. . . .	10 მ.—კ.	6 თვით . . .	6 მ.—კ.
11 ,, . . .	9 ,, 50,,	5 ,, . . .	5 ,, 50,,
10 ,, . . .	8 ,, 75,,	. . .	4 ,, 75,,
9 ,, . . .	8 ,, —,,	3 ,, . . .	3 ,, 50,,
8 ,, . . .	7 ,, 25,,	2 ,, . . .	2 ,, 75,,
7 ,, . . .	6 ,, 50,,	1 ,, . . .	1 ,, 50,,

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მახწავლებელთ „ივერია" მთელი ს წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარდ მცხოვრებთ უნდა დაბაბრეს გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. въ редакцію „ИВЕРІИ".

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე აღრესზედ შესცვლა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას ვაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დასაბეჭდად

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., მერეკედზე—16 კაპ. ბ) სრული გვერდ-ნახევარი გვერდი—30 მანათი, ხოლო მერეკედ გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვერდებზე, რამდენს ადგილსა დაიკავებს 25 ასი გაზეთის ტაქსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნონ. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შეიოკლებენ, ან შესწორებულ იქნება. ხელ ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ეროის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვს.

არა-ვგვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჭკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან $7^1/$ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

Дозволено цензурою, Тифлисъ 5-го Ноября 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხნ.ებისა

რედაქტორ გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.